**Maia Nadare**
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
Founder and CEO, BRAMS Institute

# Transformation of a Novel into a Script: The Journey of *Outlander*

(Abstract)

KEYWORDS: Outlander, Diana Gabaldon, Novel, Script, Translation, Linguistics, Composition, TV Show, United States (USA)

As Diana Gabaldon observes, “Time is God, memory is a devil.” Memory is central to her work: it shapes identity, but can also burden those who remember. Across the *Outlander* novels, she explores this paradox, making temporal dislocation and mnemonic strain central to characterisation, plot and theme.

On 6 March 1988, the young American zoologist Diana Gabaldon wrote the opening lines of what would become her debut novel. She had not yet settled on the title *Outlander* or anticipated the series’ eventual scope. Seeking to test her creative limits, she set out to craft a story that would resonate with readers and endure. Her distinctive narrative voice – combining historical detail, psychological acuity and genre hybridity – made the novel well suited to adaptation.

The novel’s fully realised characters and compelling narrative attracted television producers. Bringing *Outlander* to television required balancing literary subtlety with the demands of


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

the screen. Producers and writers preserved its central concerns (time, memory, identity and displacement) while translating interior experience into visual and performative forms. Cinematography, sound design and editing conveyed temporal shifts; dialogue, staging and performance rendered interior monologue and narrative exposition. In this way, the series carried the novels' emotional depth into an episodic format while reworking their narrative structures for television.

The adaptation also brought new creative perspectives to the project, enriching its interpretation of Gabaldon's source material. Meanwhile, Gabaldon continued to expand the *Outlander* universe through successive novels, providing the television series with a continuing source of material.

The move from page to screen introduced *Outlander* to audiences beyond the novels' readership. Its adaptation shows how a work can be reimagined across media: literary devices become visual strategies, psychological nuance is conveyed through performance, and the story's scope unfolds across seasons. Rather than simply transferring the novels' themes to the screen, the series explores them through visual storytelling and episodic structure.


BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
დამფუძნებელი და დირექტორი,
ბრამსის ინსტიტუტის

# რომანის ეკრანიზება: „გადამთიელის“ ტრანსფორმაცია

პროფ. თემურ კობახიძის ხსოვნას

საკვანძო სიტყვები: „გადამთიელი“, დაიანა გაბალდონი, რომანი, სცენარი, თარგმანი, ლინგვისტიკა, კომპოზიცია, ტელესერიალი, აშშ

მეხსიერება ის ადამიანური უნარია, რომლითაც გონება ინახავს და გამოიხმობს ინფორმაციას. დოქტორ დაიანა გაბალდონის მოსაზრებით, არის ალბათობა, წარსულის გახსენების შესაძლებლობა წყევლად ექცეს ადამიანს. ამიტომაც გვთავაზობს მეხსიერების ფილოსოფიურ გააზრებას, რომლის მიხედვითაც, ხსოვნის წყარო ბნელ ძალებს უკავშირდება და ბოროტებიდან იღებს სათავეს. „მეხსიერება სატანისეულია, დრო კი ღვთიური“, მიაჩნია „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიერ ბესტსელერის ავტორად აღიარებულ მწერალს. დროისა და მეხსიერების კონცეფციის თვალნათლივ წარმოსაჩენად, გაბალდონი მკითხველს სთავაზობს რომანების მთელ სერიას, რომელშიც თითოეული პერსონაჟი პირადად გამოცდის დროის ღვთიურობასა და მეხსიერების სატანისეულობას. მათი ცხოვრება გადაჯაჭვულია რამდენიმე ცნობილ ისტორიულ მომენტთან (მეორე მსოფლიო ომი, იაკობინელების აჯანყება, ამერიკული რევოლუცია), რაც კონტრასტულ ფონად გასდევს ინდივიდის რამდენიმეშრიანი მეხსიერების წარმოჩენას დროის სხვადასხვა მონაკვეთში.



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

1988 წლის 6 მარტს ახალგაზრდა ამერიკელმა ზოოლოგმა, დაიანა გაბალდონმა თავისი პირველი წიგნის საწყისი სტრიქონები დაწერა. მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოფიქრებული ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი სათაური „გადამთიელი“ (Outlander)[18] და არც მისი სამოყვარულო მწერლური ექსპერიმენტის სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებით გააჩნდა კონკრეტული გეგმები. არიზონის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორსა და ეკოლოგიის დოქტორს, ამავე დროს, მრავალი სტატიის ავტორს, საკუთარი თავის გამოცდა სურდა მწერლობაში. მას აინტერესებდა, შეძლებდა თუ ვერა ღირებული რომანის დაწერას. არიზონის გუბერნატორის, ტონი გაბალდონის ქალიშვილი ბავშვობიდან მიეჩვია საზოგადოების მხრივ ზედმეტ ყურადღებას. იგი სიამაყით იხსენებს მამას, რომელმაც მექსიკიდან აშშ-ში გადმოსვლის შემდეგ რთული, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრებით იცხოვრა და მშობლიური შტატის ამომრჩევლების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. როგორც თავისი ჯერჯერობით ბოლო ნაშრომის „ფუტკრებს უთხარი, რომ აღარა ვარ“,[17] წარდგინებაზე დამსწრე თაყვანისმცემლებს განუცხადა, გუბერნატორის ქალიშვილი ფარულად თავიდანვე ოცნებობდა დიდ სამწერლო წარმატებაზე.

რომანის შექმნის უნარი რომ ნამდვილად აქვს, გაბალდონმა არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა. „გადამთიელის“ წიგნები [იხ.: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20] უკვე 26 ქვეყანაში გამოიცა და 23 ენაზე ითარგმნა. დაიანამ არაერთი პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო დაიმსახურა: 1992 წელს ამერიკის რომანისტების ასოციაციის ჯილდო RITA Award რომანის პირველი წიგნისათვის „გადამთიელი“, 2006 წელს International Corine Book Award და რომანის მეექვსე წიგნისათვის „თოვლისა და ფერფლის სუნთქვა“ Quill



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Book Award.[8] ამ ფანტასტიკის ჟანრის ისტორიული რომანის მიხედვით 2014 წლიდან იღებენ თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სერიალს,[23] რომლის მეექვსე სეზონის მსოფლიო პრემიერა 2022 წლის 6 მარტს დაიწყო (დაიანას პირველი მწერლური ნაბიჯების გადადგმიდან 34 წლის თავზე) და ჩვეული წარმატებით დასრულდა 6 მაისს.

2021 წლის 22 ნოემბერს გამართული, ბოლო წიგნის ექსკლუზიური ონლაინ პრეზენტაციის დროს, დაიანამ თავის 3 ათას მკითხველს, ამავდროულად, მის გულშემატკივართა აუდიტორიასაც რომ წარმოადგენდა მთელი მსოფლიოდან (უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპელები აშკარად ჭარბობდნენ) ამცნო, რომ კალმის დადებას ჯერ არ აპირებდა და უკვე რომანის მეათე ნაწილზე მუშაობდა.

დღეს ჭეშმარიტი მკითხველი „წითელ წიგნში“ შესატანი ფრინველივით დიდი იშვიათობაა. ეს კარგად მოეხსენებათ თანამედროვე მწერლებს, მათ შორის, დაიანასაც. სავარაუდოდ, ერთგული მკითხველების ამოსაცნობად, ერთი უჩვეულო სიურპრიზი დახვდა მყიდველს გასულ შემოდგომაზე: პანდემიის გამო ონლაინ პრეზენტაციაზე დასასწრები ბილეთის შეძენის დროს, გაბალდონის შემოქმედების ცოდნის შესამოწმებელი ტესტის შევსებას ითხოვდა საიტი. „გადამთიელის“ შინაარსის გამორჩეულად მნიშვნელოვან რამდენიმე ასპექტზე დაყრდნობით შედგენილი კითხვარი[27] რთული ნამდვილად არ აღმოჩნდა და, ვფიქრობ, ამ ამერიკელი მწერლის რომანის დანარჩენ მოყვარულებსაც არ გაუჭირდებოდათ პასუხების გაცემა. ასეთმა მიდგომამ იმაზეც დამაფიქრა, რაოდენ სასარგებლო იქნება, რესპონდენტებთან ინტერვიუს ჩაწერამდე ჟურნალისტებსაც რომ ევალებოდეთ ტესტირების გავლა საუბრის თემატიკასთან დაკავშირებით. ვინც



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თავად ვერ გრძნობს უხერხულობას საკუთარი უვიცობის გამო, იძულების წესით მაინც უნდა მიაჩვიონ აუცილებელი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებას. (ამაოდ არ ეთმობა ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის სპეციალობებზე „ინტერვიუს ოსტატობის“ კურსის ფარგლებში ინტერვიუსთვის მზადების ხელოვნებას ერთი სრული მოდული).[5] ასეთი ტესტირება ძალიან წასწევდა წინ ქართული (ზოგჯერ, ამერიკული)[21] მედიის დონეს პროფესიონალიზმის თვალსაზრისით.

გაბალდონმა თავისი შთაგონების პირველწყაროდ დაასახელა ბრიტანული სერიალის *Doctor Who*-ს[9] 1969 წლის ათნაწილიანი ეპიზოდი „საომარი თამაშები“,[25] სადაც მთავარი პერსონაჟის თანმხლებად გამოყვანილია 1740-იანი წლებიდან პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლში გადმოსული 17 წლის ახალგაზრდა შოტლანდიელი ჯეიმი მაკ-კრიმონი. სწორედ იგი გახდა „გადამთიელის“ მთავარი მამაკაცი პერსონაჟის, ჯეიმი ფრეიზერის პროტოტიპი.

დაიანამ აღნიშნა, რომ რომანის პერსონაჟები მას ნაკლებად ემორჩილებიან და დამოუკიდებლად ვითარდებიან. ასე მაგალითად, მე-18 საუკუნის მკვიდრი ჯეიმის საპირწონედ შერჩეული ქალი, მე-20 საუკუნიდან წარსულში მოხვედრილი ინგლისელი კლერ რენდალი თანდათანობით პირველ ადგილზე გადაბარგდა და ხელში ჩაიგდო ამბის თხრობის სადავეები. ორასი წლით ადრე დაბადებულმა ადამიანებმა გადამთიელი ქალი კუდიანად მიიჩნიეს ფემინისტური მოსაზრებების გამო. კლერის ულტრათანამედროვე იდეები მისი მშობლიური ეპოქითაც (1940-იანი წლების ინგლისი) ვერ აიხსნებოდა. ამიტომ, მწერალმა იგი XX საუკუნის მეორე ნახევრის აშშ-ში დაასახლა, რომ უფრო რეალისტური ყოფილიყო ახალგაზრდა ქალის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ, ჯიუტ, ფიქრი-



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ან ინდივიდად. სამ ათეულ წელიწადზე მეტია, კლერი და ჯეიმი ერთად, თუ ურთიერთმონატრების მომენტებში ცალ-ცალკე, აღასრულებენ ისტორიის, პირადი ცხოვრების, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დაიანას შემოქმედებითი ნიჭის დემონსტრირების საპატიო მისიას.

საინტერესოა, რა იწვევს გაბალდონის მწერლური ექსპერიმენტისადმი ასეთ ხანგრძლივ ინტერესს მსოფლიო მკითხველში? ვფიქრობ, მიზეზი რამდენიმეა. მიუხედავად ჯ. რ. რ. ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებლის“ (*The Lord of the Rings*), ჯოან როულინგის „ჰარი პოტერისა“ (*Harry Potter*) და სტეფანი მეიერის „ბინდის“ (*Twilight*) ანალოგიურ პროექტებთან აშკარა სტრუქტურული მსგავსებისა (წიგნები და მათ საფუძველზე გადაღებული ფილმები), ნათლად იკვეთება ნიუანსური თავისებურებანი. ჯერ ერთი, „გადამთიელი“ რეალურ ისტორიულ ფაქტებს შორის ოსტატურად ჩაქსოვილი პირადი ამბების ქარგაა. ეს მკითხველში დასწრების ეფექტს, თანაგანცდას იწვევს და რაც უფრო იცის ევროპა-ამერიკის ისტორია, მით უკეთ გაითავისებს ავტორის სათქმელს.

მეორეც, ესაა გაბალდონის მწერლური ენა – ერთდროულად, მეცნიერულიცა და მხატვრულ-პუბლიცისტურიც. ზოოლოგიის დოქტორი სათავგადასავლო ფანტასტიკაზე ისეთივე სერიოზულობით მუშაობს, როგორც საკუთარ სადისერტაციო თემაზე იშრომა. თითოეულ სიტყვას აკვირდება, უფრო ზუსტ შესატყვისს ეძებს და ლექსიკონებისა თუ ენციკლოპედიების გამოყენების პარალელურად, მსოფლიოში გაბნეული სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტებისგანაც იღებს რჩევებს. მრავალშრიანი რომანი იმდენად დახუნძლულია ისტორიის, ლინგვისტიკის, ფოლკლორის, პოლიტიკის, ბოტანიკის, მედიცინის, ფილოსოფიისა და თვით ფიზიკის საკითხებით, რომ მულტიდისციპლინური აზროვნებისა და უკიდეგანო ზოგადი



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

განათლების გარეშე დაიანა გაბალდონი ვერ შეძლებდა ასეთი სრულყოფილებით, შეუცდომლად წარმოეჩინა სამ განსხვავებულ საუკუნეში განფენილი სიყვარულის, ერთგულების, პატრიოტიზმისა და კაცთმოყვარეობის მისეული აღქმა. თან, ეს ყველაფერი, ისეთი მსუბუქი სტილით აქვს გადმოცემული, რომ ნებისმიერი დონის მაყურებელი ისეთივე სიამოვნებით ეცნობა სერიალს, როგორითაც ინტელექტუალი მკითხველი – რომანს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია შოტლანდიური დიალექტისთვის ნიშანდობლივი ლექსიკით ინგლისურ ენაზე ამეტყველებული ჯეიმი და მისი კლანის წევრები, რომლებიც უხვად იყენებენ გალურ სიტყვებს, მსუყე შოტლანდიურ აქცენტზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს, უაღრესად ეგზოტიკურ ჟღერადობასთან ერთად, ისტორიული სულის ხაზგასმას უწყობს ხელს. რიგით მეცხრე წიგნის წარდგინების დროს, ინტერვიუში დაიანა გაბალდონმა აღნიშნა, რომ შოტლანდიური, მოგვიანებით კი ამერიკელი ინდიელების (ჩეროკები, მოჰავკები) ენის[26] თავისებურებათა გადმოცემისათვის პირველ ეტაპზე ლექსიკონს იყენებდა, მოგვიანებით კი ლინგვისტიკის პროფესორები დაიხმარა. ასეთ დეტალებს მწერალი ზედმიწევნით აქცევს ყურადღებას და უამრავ დროს უთმობს, რაც განსხვავებულ ეპოქათა და კულტურათა გაცოცხლებაში უაღრესად ეხმარება. ამიტომ ახასიათებს მის რომანებს ავთენტურობის მაღალი მაჩვენებელი.

რომანის ენაზე საუბრისას, პირველი წიგნის სათაურის (რაც მთლიანად სერიალის სახელწოდებაცაა) ქართულად თარგმნის საკითხი დაკვირვებით განხილვას საჭიროებს. თანამედროვე საქართველოს რეალობაში ჯერ კიდევ იგრძნობა ფილმების მოქართულებისას რუსული ვერსიების გამოყენება, ორიგინალის ნაცვლად. ამაზე ცალსახად მიუთითებს სხვადასხვა ენიდან ქართულად



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გადმოთარგმნისას რუსული სინტაქსური წყობის კალკირება შინაარსის გაუაზრებლად. მაგალითად, თურქული სერიალი „Ölene Kadar“ (2017) ქართულად შემოთავაზებულია სახელწოდებით „სიკვდილის ბოლომდე“, რაც სრული უაზრობაა (უნდა იყოს „სიკვდილამდე“) და მხოლოდ რუსულ თარგმანთან შედარება „До самой смерти“[28] ცხადყოფს ენობრივი ნაკლის მიზეზს – პირდაპირ თურქულიდან გადმოთარგმნის ნაცვლად, რუსულის ძალზე ცუდად მცოდნის მიერ ფრაზის „მოლექსიკონება“[3] ქართულად. თარგმანის სისუსტე განსაკუთრებით თვალშისაცემია Outlander-ის შემთხვევაში, სადაც უშუალოდ ქართული ენის ზედაპირულ ცოდნასა და მწირ ლექსიკასთან გვაქვს საქმე.

აუცილებლად გასათვალისწინებელია როგორც ამერიკული ტერმინის (outlander)[22] პირდაპირი მნიშვნელობა, ასევე ამ სიტყვის რომანში ცალსახად წარმოჩენილი ლექსიკური აქცენტი – შოტლანდიური მიწისთვის არამკვიდრი ადამიანი ანუ ინგლისელი. ამ სიტყვის ამგვარად გააზრების მართებულობას ადასტურებს და სინონიმურად აძლიერებს ინგლისელის აღმნიშვნელი შოტლანდიური მეტსახელის (Sassenach)[24] რეფრენული გამოყენება კლერის მისამართით. ისიც უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ რომანს თავდაპირველად ეწოდებოდა “Cross Stitch”[11] და ასე გამოიცა გაერთიანებულ სამეფოში. მხოლოდ ამერიკელი გამომცემლის მოთხოვნით, აშშ-ში რომანი გამოქვეყნდა განსხვავებული სახელწოდებით “Outlander”,[18] რაც შოტლანდიელი ჯეიმის მიერ ინგლისელი მეუღლისთვის შერჩეულ მეტსახელზე აშკარა აპელირებაა. სიტყვათა მთელი ამ პალიტრის გათვალისწინებით, რომანის და, შესაბამისად, სერიალის სახელწოდებად გთავაზობთ „გადამთიელს“.[2] ამჟამად ქართულ ენაზე სერიალი სახელწოდებით „უცხოელი“[6] გადის, რაც რუსულ «Чуже-



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

странка»-ზე გაცილებით სუსტი თარგმანია, რასაც, თუნდაც „უცხოტომელი“ ადასტურებდა. მთარგმნელის მიერ სათაურად „უცხოელის“ შემოთავაზება დაიანა გაბალდონის ლიტერატურული ნიჭისა და შრომის, უბრალოდ, არდაფასება და, გაკვეულწილად, შეურაცხყოფაც კია ისეთ რეალობაში, როდესაც ქართულ ენაში არაჩვეულებრივად ზუსტი სიტყვა მოგვეძებნება. „გადამთიელი“[2] ლექსიკურადაც და შინაარსობრივადაც ზედმიწევნით ემთხვევა outlander-სა[22] და sassenach-ს.[24] ამას გარდა, ეპოქის სული და ორიგინალის ენობრივი არომატიც შემოაქვს[7] ქართულ თარგმანში.

ფანტასტიკის ჟანრის რომანი, რომელშიც მოქმედება მთლიანად წარსულში მიმდინარეობს, ნამდვილი გამოწვევაა მწერლისთვის. ერთი შეხედვით, რამ შეიძლება დააინტერესოს ასე ხანგრძლივად მკითხველი, თუ წინასწარ იცის ისტორიულ მოვლენათა შედეგები? სიუჟეტი დეტალურად მისდევს ცნობილ ფაქტებს და გაბალდონი არასდროს ამატებს, ან ცვლის რამეს. მკითხველმა კარგად იცის, ვინ გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში, ვინ დამარცხდა კალოდენის ბრძოლაში და როგორი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკული რევოლუციის შედეგად შექმნილ რესპუბლიკას. და მაინც, დაიანა გაბალდონის პირველ წიგნს თუ გადაშლის მკითხველი, ისე გაჰყვება ავტორს მეცხრემდე, რომ მეათის, მეთერთმეტის, თუნდაც, მეთორმეტის წაკითხვის სურვილი აღარ მოასვენებს. ვფიქრობ, გაბალდონის მწერლურ ხმას „ჰიპნოზის“ ორი ხერხი ახასიათებს:

1. ნაცნობი ისტორიული მოვლენები ავტორს საკუთარი ხედვის კუთხით აქვს წარმოჩენილი. ამავე დროს, ფაქტების მსუბუქ ანალიზსაც გვთავაზობს და შემდგომი ეპოქისთვის მათ მნიშვნელობას. ამას ისე აკეთებს, რომ თხრობას არ ამძიმებს მსჯელო-



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბებით. არც მოვლენათა აღწერით გადატვირთავს მთლიან ქარგას და მხოლოდ პერსონაჟთა სხარტ დიალოგებში აისახება ისტორია გაკვრით. თუ მკითხველმა იცის რა მოხდა, მეტის ახსნა არც სჭირდება. ეს ხერხი დინამიზმს უნარჩუნებს რომანის მთელ სერიას. მათთვის კი, ვისაც წარმოდგენა არა აქვს რომანში ნახსენებ ისტორიულ ეპიზოდებზე, ასეთი თხრობა არც მოსაბეზრებელია და არც უინტერესო;

2. დაიანა გაბალდონის „გადამთიელი“ სტრუქტურულად ძალიან ჰგავს „ათას ერთი ღამის“[1] კომპოზიციას. ორი უმთავრესი პერსონაჟის ამბავი თან დროში გაწელილია, ამავდროულად, ისტორიულ მოვლენათა ტემპის ფონზე მაინც დინამიურად ვითარდება. ამბები, ეპოქები, დამატებითი თუ დამხმარე პერსონაჟები რეგულარულად იცვლებიან, ხოლო ერთი ცოლ-ქმრის ცხოვრება ამ ყველაფრის ლაიტმოტივია. სწორედ მათი „ათასმეერთე ღამის“ მოლოდინი არ აძლევს საშუალებას მკითხველს, ინტერესი გაუნელდეს, რადგან ამერიკელი ზოოლოგი ქალბატონი აზიელი შაჰრაზადივით ოსტატური მთხრობელი გამოდგა.

მიუხედავად იმისა, რომ სანუკვარი ოცნება აიხდინა – ბესტსელერის ავტორიც გახდა და ამ რომანის ეკრანიზებასაც მოესწრო, დაიანა გაბალდონი მწერლური ხერხების გამოყენების ოსტატობასთან დაკავშირებით საკუთარი შესაძლებლობების გამოცდას მომავალშიც აპირებს. „გადამთიელის“[8] სამყარო მისი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა ისევე, როგორც გაბალდონის თხრობის მანერის თაყვანისმცემლებისთვის. ჯადოსნურ ლამპარში გამომწყვდეული ჯინივით, მარადიული მონობიდან თავდახსნას რომ ელის აბსოლუტურად შეუძლებე-



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლი რეალობის მიუხედავად, თანამედროვეობის უდიდესი ამერიკელი ავტორის შემოქმედება მკითხველს შეუცნობელი, გაუაზრებელი მოლოდინით ავსებს – რა იქნება შემდეგ? როგორი დასასრული შეიძლება ჰქონდეს სიკეთის, უანგარობის, სიყვარულის უნარს დღეს, ხვალ თუ გუშინ? გაამერიკელებული ინგლისელი კლერისა და შოტლანდიელი ჯეიმის ფათერაკებიანი თანაცხოვრების ენდინგს[4] ზუსტად ისე ელის თანამედროვე მკითხველი, როგორც საუკუნეების წინათ მეფე შაჰრიარის გადაწყვეტილებას ელოდნენ.

## ლიტერატურა ▫ References


1. ათას ერთი ღამე (1969). არაბულიდან თარგმნა ნანა ფურცელაძემ, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
2. ბადამთიელი – შორეული, უცხო ქვეყნის, მხარის, უცხო ტომის წარმომადგენელი. ganmarteba.ge
3. მოლექსიკონება – ირაკლი ნადარეიშვილის ნეოლოგიზმი (1990 წელი).
4. Nadare, Maia (2002). *Alpha and Omega of the Publicistic Text: Lead and the Ending*. Tbilisi: Tbilisi University Press (In Georgian).
5. ტყებუჩავა დიანა (2009). ინტერვიუს ოსტატობა (სალექციო კურსი). თბილისი, გვ. 4.
6. „უცხოელი“ (2014-2022). mykadri.com; movie.ge; croconet.ge. იდენტური თარგმანია შემოთავაზებული ამავე სახელწოდების მქონე სხვა ფილმისთვის, რომლის შეთხვევაშიც „უცხოტომელი“ იქნებოდა მართებული [Outlander (2008), (movie.ge)].
7. Carle-Sanders, Theresa (2016). *Outlander Kitchen: The Official Outlander Companion Cookbook*. Foreword by Diana Gabaldon, New York, NY: Delacorte Press.
8. Diana Gabaldon books in order. In: bookseriesinorder.com/diana-gabaldon
9. *Doctor Who* (1963-1989). Created by Donald B. Wilson and Sydney Newman, BBC.




ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

10. Gabaldon, Diana (2006). *A Breath of Snow and Ashes*. Crystal Lake, IL: Delta Publishing.
11. Gabaldon, Diana (1991). *Cross Stitch*. NY: Century Publishing Co.
12. Gabaldon, Diana (2002). *Cross Stitch*. NY: Random House.
13. Gabaldon, Diana (1993). *Dragonfly in Amber*. NY: Dell Publishing.
14. Gabaldon, Diana (1996). *Drums of Autumn*. NY: Delacorte Press.
15. Gabaldon, Diana (2010). *An Echo in the Bone*. Chicago, IL: Orion Publishing, Inc.
16. Gabaldon, Diana (2005). *The Fiery Cross*. NY: Dell Publishing.
17. Gabaldon, Diana (2021). *Go Tell the Bees that I Am Gone*. Toronto, ON: Doubleday Canada Ltd.
18. Gabaldon, Diana (1992). *Outlander*. NY: Dell Publishing.
19. Gabaldon, Diana (1994). *Voyager*. NY: Dell Publishing.
20. Gabaldon, Diana (2014). *Written in My Own Heart's Blood*. NY: Delacorte Press.
21. Michallon, Clémence (2021, May 13). Oprah Winfrey opens up about 'big' interview faux pas: 'I cringe to even think that I asked that question'. *The Independent.*
22. Outlander (*North American*) – a foreigner (უცხოელი; გარეშე პირი) or a stranger (უცხო პირი; უცნობი ადამიანი; უცხოელი).
23. *Outlander* (2014-2022). Created by Ronald D. Moore, Starz.
24. Sassenach (from Scottish Gaelic *Sasunnoch* & Irish *Sasanach* „სასანახი" < Latin Saxones „საქსი, საქსონელი") – an English person (ინგლისელი; ინგლისური); a Saxon (საქსონელი); a general name applied by the Scottich Highlanders of the British Isles to persons of Saxon race; a Lowlander.
25. *Doctor Who* (1969). "The War Games." Directed by David Maloney, series 6, episodes 35-44, BBC.
26. Walsh, Megan (2018, November 18). Native American Characters Will Be Introduced In 'Outlander' Season 4. *Romper*. romper.com
27. Wilson, Agatha (2021). *Outlander Trivia Book*. Independently published. amazon.ca
28. *Ölene Kadar* (English translation: *Until Death*; Georgian: „სიკვდილის ბოლომდე"; Russian: *До самой смерти*; 2017). Directed by Umur Turagay and Feride Kaytan, Tims Productions.



BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)